მემცენარეობა

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტი
1.3. საკონტაქტო პირი	გიორგი სანაძე
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	gsanadze@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (500)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2024 წ. 25 მარტი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2024 წ. 25 მარტი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2024 წ. 25 მარტი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა
3.1. მონაცემების აღწერა
მემცენარეობის შესახებ მონაცემების ძირითად წყაროს სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევა წარმოადგენს. გამოკვლევის შედეგად მიიღება მონაცემები ქვეყნის მასშტაბით და რეგიონის დონეზე ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი და აღებული ფართობების, წარმოებისა და საშუალო მოსავლიანობის შესახებ. ასევე, მრავალწლოვანი კულტურების წარმოების შესახებ. ბაღჩეულის წარმოების შესახებ მონაცემები მიიღება ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის გამოკითხვით. ჩაის ნედლი ფოთლის წარმოების შესახებ მონაცემები მიიღება ჩაის ნედლი ფოთლის გადამამუშავებელ საწარმოთა ყოველწლიური გამოკითხვით.
3.2. კლასიფიკაციის სისტემა
კულტურების კლასიფიკატორი ვერსია 1.1 (ICC) (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) – Classification of Crops // World Programme for the Census of Agriculture 2020. Volume 1: Programme, Concepts and Definitions / Food and Agriculture Organization of the United Nations. – Rome, 2017, pp. 163-169. http://www.fao.org/3/a-i4913e.pdf
3.3. სექტორის მოცვა
სასოფლო მეურნეობები: ოჯახური მეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები.
3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები
ერთწლიანი კულტურა – სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომლის ზრდის სრული ციკლი ერთ წელზე ნაკლებ პერიოდს მოიცავს, მასვე მიეკუთვნება დათესილი მრავალწლიანი ბალახებიც (იონჯა, სამყურა, ესპარცეტი და სხვ.). **მრავალწლოვანი კულტურა** – სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომლის ზრდის სრული ციკლი ერთ წელზე მეტ პერიოდს მოიცავს. **ნათესი ფართობი** – სახნავის ის ნაწილი, რომელზეც საანგარიშო წელს დაითესა ერთწლიანი კულტურა. **აღებული ფართობი** – ნათესი ფართობის ის ნაწილი, საიდანაც საანგარიშო წელს აღებული იქნა ერთწლიანი კულტურის მოსავალი. გაიანგარიშება როგორც ნათესი ფართობისა და იმ ფართობის სხვაობა, რომლიდანაც ამა თუ იმ მიზეზის გამო (ნათესის დაღუპვა, სახსრების უქონლობა და ა.შ.) მოსავალი არ/ვერ იქნა აღებული. მემცენარეობის პროდუქტების წარმოება – საანგარიშო წლის განმავლობაში სახნავიდან და მრავალწლოვანი კულტურებისაგან მიღებული პროდუქცია.

საშუალო მოსავლიანობა – საანგარიშო წლის განმავლობაში წარმოებული მთლიანი მოსავლის შეფარდება აღებულ ფართობთან, რომლიდანაც მოხდა მოსავლის აღება (მხედველობაში მიიღება მხოლოდ წმინდა ნათესი).

3.5. სტატისტიკური ერთეული

სასოფლო მეურნეობა – დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთეული ზომის, საკუთრებისა და სამართლებლივი ფორმის მიუხედავად, რომელშიც სასოფლო-სამეურნეო წარმოება ხორციელდება მეურნის ხელმძღვანელობით, რომელიც პასუხისმგებელია სამეურნეო გადაწყვეტილებებზე და საკუთარ თავზე იღებს მეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებულ ყველა ეკონომიკურ რისკს და დანახარჯს, ამასთან, სარგებლობს სამეურნეო საქმიანობის შედეგებით.

3.6. სტატისტიკური პოპულაცია

გამოკვლევის პოპულაციას წარმოადგენს ქვეყანაში არსებული დაახლოებით 642 000 სასოფლო მეურნეობა (შინამეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები). შერჩევის ბაზის ძირითად წყაროს წარმოადგენს 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. შერჩევის ბაზის განახლება ხდება რეგულარულად სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევის, ბიზნეს რეგისტრის და ქვეყანაში არსებული სხვა ადმინისტრაციული წყაროების გამოყენებით.

3.7. საანგარიშო არეალი

საქართველოს მთელი ტერიტორია გარდა ოკუპირებული რეგიონებისა.

3.8. დროის მოცვა

2006 წლიდან.

3.9. საბაზო პერიოდი

-

4. ზომის ერთეული

ათასი ტონა, ათასი ჰექტარი, %.

5. საანგარიშო პერიოდი

წელი.

6. ინსტიტუციური მანდატი

6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები

საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“;
https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf
სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა;
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება.
https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf

6.2. მონაცემთა გაზიარება

-

7. კონფიდენციალურობა

7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა

1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“:
   - კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სტატისტიკური კონფიდენციალურობა და მონაცემების ექსკლუზიურად სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოს მიერ შეგროვებული ან მიღებული ფიზიკური ანიურიდიული პირის შესახებ პერსონალური მონაცემები ან/და ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალური უნდა იყოს და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული.
   - კანონის 34-ე მუხლის (მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ეს მონაცემები სტატისტიკური ერთეულის პირდაპირი იდენტიფიცირების ან არაპირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, აგრეგირებული მონაცემები კონფიდენციალურად მიიჩნევა, თუ: ა) ეს მონაცემები არაუმეტეს 3 სტატისტიკურ ერთეულს ეხება და აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია ერთ-ერთის არაპირდაპირი იდენტიფიცირება ან/და

მჟღავნდება ამ ერთეულის/ერთეულების შესახებ კონფიდენციალური მონაცემები. 3-ზე მეტი სტატისტიკური ერთეულის შესახებ აგრეგირებული მონაცემები შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ მონაცემებად საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, თუ საჭიროა ამ მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა; ბ) ეს მონაცემები „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოებად არის მიჩნეული. 2. კონფიდენციალური მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კანონის შესაბამისად ექსკლუზიურად სტატისტიკის წარმოებისთვის. 3. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ ინფორმაციად, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციისა. 4. საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან მიღებული ინდივიდუალური მონაცემები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციად არის მიჩნეული, არ ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად. 5. კონფიდენციალური ინდივიდუალური მონაცემების გამოქვეყნება შესაძლებელია, თუ არსებობს სტატისტიკური ერთეულის წერილობითი თანხმობა ამ მონაცემების გამოქვეყნებაზე. 6. კონფიდენციალური მონაცემების გაცემა, გავრცელება ანარასტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია.

- კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოების თანამშრომლებს ეკრძალებათ სტატისტიკური მიზნებისთვის შეგროვებული დ ადამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების პირადი, აკადემიური, სამეცნიერო ან სხვა საქმიანობისთვის გამოყენება და გავრცელება.

https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf

2. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა“
https://www.geostat.ge/media/60538/konfidencialurobis-politika_2024.pdf
3. „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესი“
https://www.geostat.ge/media/58983/დადგენილება--3.pdf
4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437

7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა

- კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები.
- საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

8. გამოქვეყნების პოლიტიკა

8.1. გამოქვეყნების კალენდარი

მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის საფუძველზე შემუშავებული კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა

https://www.geostat.ge/ka/calendar

8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა

მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

9. გავრცელების სიხშირე

წლიური.

10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა

10.1. პრეს–რელიზები

პრეს-რელიზები მემცენარეობის შესახებ არ ვრცელდება.

10.2. პუბლიკაციები

მემცენარეობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია პუბლიკაციებში:
„საქართველოს სოფლის მეურნეობა“:
https://www.geostat.ge/ka/single-categories/102/sakartvelos-soflis-meurneoba
„საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული“:

https://www.geostat.ge/ka/single-categories/95/sakartvelos-statistikuri-tselitsdeuli

10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა

მონაცემები განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე PC-Axis-ის მონაცემთა ბაზაში:
https://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database

10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა

ანონიმიზირებული მიკრომონაცემები:
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/686/sasoflo-meurneobebis-gamokvlevebi

10.5. სხვა

მემცენარეობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები აგრეთვე ვრცელდება სოციალური ქსელის (Facebook) საშუალებით.

10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე

„A System of Integrated Agricultural Censuses and Surveys. V.1-Guidelines for the World Programme of Agriculture Censuses". FAO Statistical Development Series, No. 11. Food and Agriculture Organization of the United Nations. Rome, 2005.
https://www.geostat.ge/media/13404/WCA2010.pdf
„World Programme for the Census of Agriculture 2020. V.1-Programme, concepts and definitions". FAO Statistical Development Series, No. 15. Food and Agriculture Organization of the United Nations. Rome, 2017.
https://www.geostat.ge/media/19735/World-Programme-for-the-Census-of-Agriculture-2020.pdf

10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ

-

11. ხარისხის მართვა

11.1. ხარისხის უზრუნველყოფა

სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 თავით „ოფიციალური სტატისტიკის ხარისხი", აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (ESS QAF).

11.2. ხარისხის შეფასება

საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს, თვითშეფასების გამოკვლევას და აფასებს სტატისტიკური პროდუქტებისა და პროცესების ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.
საქსტატის ხარისხის პოლიტიკა ხელმისაწვდომია ვებ-საიტზე:
https://www.geostat.ge/media/44379/QP_Geostat_GE.pdf

12. შესაბამისობა

12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები

მემცენარეობის შესახებ მონაცემების მომხმარებლები არიან სახელმწიფო სტრუქტურები, სასწავლო დაწესებულებები, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია საშუალებები, სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირები. აღნიშნული მომხმარებლები სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ მიღებულ ინფორმაციას. სახელმწიფო სტრუქტურებს მონაცემები ესაჭიროებათ გადაწყვეტილებების მისაღებად, სასწავლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს – სამეცნიერო საქმიანობისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებს – სხვადასხვა ქვეყნის მონაცემთა შესადარებლად და ანალიზისათვის, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს – პირადი საჭიროებისათვის, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გასაანალიზებლად და ა.შ.

12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება

2021 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე:
https://www.geostat.ge/ka/page/customer-service

12.3. სისრულე
მონაცემები შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

13. სიზუსტე და სანდოობა
13.1. ზოგადი სიზუსტე
მონაცემების სიზუსტე უზრუნველყოფილია კვლევის და გაანგარიშების მეთოდების საერთაშორისო მეთოდოლოგიასთან შესაბამისობით.
13.2. შერჩევითი ცდომილება
ძირითადი მაჩვენებლების შერჩევითი ცდომილებაა არა უმეტეს 5%-სა ქვეყნის დონეზე და არა უმეტეს 10%-სა ძირითადი რეგიონებისათვის.
13.3. არაშერჩევითი ცდომილება
სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევაში გვხვდება არაშერჩევითი ცდომილების შემდეგი მაგალითები: მონაცემთა შეყვანის დროს ინტერვიუერის მიერ დაშვებული შეცდომები, გამოუპასუხებელი კითხვარები, დაფარვის არეალის არასწორად განსაზღვრა, მონაცემთა დამუშავებისა და იმპუტაციის დროს არსებული ხარვეზები.

14. დროულობა და პუნქტუალურობა
14.1. დროულობა
ექსპრეს მონაცემები მიმდინარე წლის საშემოდგომო კულტურების ნათესი ფართობების შესახებ – საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 70-ე დღე; ექსპრეს მონაცემები მიმდინარე წლის საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობების შესახებ – საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-60 დღე; წინასწარი მონაცემები წინა წლის სასოფლო-სამეურნეო მაჩვენებლების შესახებ (ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი, აღებული ფართობი, წარმოება და საშუალო მოსავლიანობა. ასევე, მრავალწლოვანი კულტურების წარმოება) – საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-100 დღე; საბოლოო მონაცემები წინა წლის სასოფლო-სამეურნეო მაჩვენებლების შესახებ – საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 160-ე დღე.
14.2. პუნქტუალურობა
მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღების შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა
15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული
საქართველოს ყველა რეგიონისთვის გამოყენებულია ერთი და იგივე მეთოდოლოგია და მიდგომები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო მეთოდოლოგიას.
15.2. შესადარისობა – დროში
2006-2015 წლების გამოკვლევების შერჩევის ბაზის ძირითად წყაროს წარმოადგენდა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ხოლო 2016-2018 წლების გამოკვლევის შერჩევის ბაზა განახლდა და დაეფუძნა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014-2018 წლების მაჩვენებლების შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა 2014 და 2015 წლების მონაცემების გადაანგარიშება. შესაბამისად, 2014-2018 წლების მონაცემები შესადარისი არ არის 2006-2013 წლების მონაცემებთან.
15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის
მონაცემები თანამიმდევრულია.
15.4. თანამიმდევრულობა – შიდა
მონაცემები თანამიმდევრულია.

16. დანახარჯები და დატვირთვა
2023 წელს სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევის ბიუჯეტმა შეადგინა 980 ათასი ლარი. ძირითად პრობლემას რესპოდენტების დატვირთვის კუთხით წარმოადგენს კითხვარის შევსებისათვის საჭირო დრო. 2018 წლიდან სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევის მონაცემთა შეგროვება ხორციელდება ელექტრონულად ანდროიდ ტაბლეტების საშუალებით CAPI მეთოდის გამოყენებით. აღნიშნულ მეთოდზე გადასვლამ მნიშვნელოვნად შეამცირა როგორც ინტერვიუს დრო, ისე რესპონდენტებზე დატვირთვაც.

17. მონაცემთა გადასინჯვა

17.1. მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა

სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/media/60949/Revision-policy-and-error-correction_2024.pdf

17.2. მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა

სტატისტიკური მონაცემების გადასინჯვა და კორექტირება წარმოებს რეგულარულად შესაბამისი წყაროებიდან მიღებული დაზუსტებების საფუძველზე. გარდა ამისა, წელიწადში ერთხელ ხორციელდება მასშტაბური გადასინჯვა დაზუსტებული მონაცემების მიღების მიზნით. გეგმიური გადასინჯვის შესაბამისად წინასწარი მონაცემები ზუსტდება და მიიღება საბოლოო მონაცემები. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) პრაქტიკაში არ განხორციელებულა.

18. სტატისტიკური დამუშავება

18.1. პირველადი მონაცემები

პირველადი მონაცემები მიიღება სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევიდან.

18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე

წლიური.

18.3. მონაცემთა შეგროვება

2006 წლიდან 2017 წლის ჩათვლით სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევის მონაცემთა შეგროვება ხდებოდა ქაღალდის კითხვარების საშუალებით, ხოლო 2018 წლიდან – ანდროიდ ტაბლეტების საშუალებით ელექტრონული შეგროვების მეთოდის (CAPI) გამოყენებით. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გამოკითხვა ხორციელდება ონლაინ კითხვარის გამოყენებით (CASI).

18.4. მონაცემთა კონტროლი

მონაცემთა პირველადი კონტროლი ხორციელდება ანდროიდ ტაბლეტებში არსებული ლოგიკური კონტროლების მეშვეობით, რომელიც ინტერვიუერს მიანიშნებს კითხვარში ჩაწერილი მონაცემების შეუსაბამობაზე. ინტერვიუერების მიერ შევსებული კითხვარები იგზავნება კოორდინატორებთან, რომლებიც ამოწმებენ მონაცემებს და ლოგიკური და არითმეტიკული შეუსაბამობების და ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში კითხვარს უკან უბრუნებენ ინტერვიუერს. გამოკვლევის მონაცემების საბოლოო გაწმენდა და ჰარმონიზაცია ხორციელდება საქტატის სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ. მათ მიერ ხდება ამოვარდნილი, არატიპური და საეჭვო მონაცემების გამოვლენა, გადამოწმება და გასწორება. აგრეთვე, ხდება კონკრეტული გამოკითხვის მონაცემების თავსებადობის შემოწმება ამავე რაუნდის სხვა გამოკითხვების მონაცემებთან. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დასკვნით (წლიურ) გამოკითხვას, რომელიც ყველა წინა გამოკითხვის შედეგების გადამოწმების და ჰარმონიზაციის საშუალებას იძლევა.

შემდეგ ხდება მიღებული შედეგების შედარება წინა კვარტალების და წინა წლის ანალოგიური პერიოდის შესაბამის შედეგებთან. ასევე, ხდება მონაცემების შედარება სხვა სანდო წყაროებთან. მნიშვნელოვანი გადახრების არსებობის შემთხვევაში ხდება მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა და ანალიზი.

18.5. მონაცემთა გაანგარიშება

მონაცემთა ბაზის გაწმენდისა და წონების გამოთვლის დასრულების შემდეგ ხდება მაჩვენებლების გაანგარიშება. მაჩვენებლები გაიანგარიშება გაწმენდილი მონაცემებისა და მეურნეობების წონების გამოყენებით. წარმოების, ნათესი ფართობის და აღებული ფართობის გაანგარიშება ხდება შეწონილი ჯამის ფორმულის გამოყენებით:

$$\sum_{i=1}^{n} Wi \cdot Xi$$

სადაც, n გამოკითხული მეურნეობების რაოდენობაა, Wi – i-ური მეურნეობის წონა, ხოლო Xi – i-ური მეურნეობის წარმოების/ნათესი ფართობის/აღებული ფართობის მონაცემი.

საშუალო მოსავლიანობა გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\frac{\sum_{i=1}^{n} W_i \cdot X_i}{\sum_{i=1}^{n} W_i \cdot Y_i}$$

სადაც, n გამოკითხული მეურნეობების რაოდენობაა, W_i – i-ური მეურნეობის წონა, X_i – i-ური მეურნეობის წარმოების მონაცემი, Y_i – i-ური მეურნეობის აღებული ფართობის მონაცემი.

18.6. მოსწორება

არ გამოიყენება.

19. კომენტარი
-